განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

02/05/2024

MES 3 24 0000503699

მოქალაქე ანა აბაშიძეს
ელ. ფოსტა: foi+request-2995-f02019b8@askgov.ge

ქალბატონო ანა,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N428179; 15.04.2024) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ფორმით სტატისტიკურ მონაცემებს სამინისტრო არ ამუშავებს. ამასთან, სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტომობილებებიდან, ისინი განპიროვნებულია მხოლოდ მინისტრზე, მოადგილეებსა და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებზე.
"საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების საფუძველზე დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისა და საწვავის ხარჯების შესახებ განთავსებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ვებ გვერდზე https://mes.gov.ge
ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2021 წლის 19 მარტიდან ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონით რეორგანიზებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ და საქართველოს კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ. შესაბამისად, გამოქვეყნებული ინფორმაცია 2021 წლის 19 მარტამდე მოიცავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს.

აქვე გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ, მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი
ნათია ლომთაძე

ნ. ლომთ

ადმინისტრაციის
მფარველობისა
და
ტერიტორიული